

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციული პოლიტიკის
ნაკლოვანებები და ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვის სტრატეგია

მარიამ კაიშაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს, ნაშრომი შეიცავს მონაკვეთებს, რომლებიც აღებულია აკადემიური წერის კურსის ფარგლებში, ჩემს მიერ შესრულებული სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომიდან „ოჯახში ძალადობის პრევენციასთან მიმართებით თანამედროვე პრაქტიკაში არსებული პრობლემები” და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ კაიშაური

13.06.2021

აბსტრაქტი

საქართველოსათვის კვლავ პიორიტეტულად რჩება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დანაშაულებთან ბრძოლა.¹ აღნიშნულ დანაშაულებთან საბრძოლველად უმნიშვნელოვანესი იყო, საქართველოს პარლამენტის მიერ, 2017 წლის 5 აპრილს, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის თაობაზე“ ევროსაბჭოს, კონვენციის რატიფიკაცია, რასაც შედეგად უამრავი საკანონმდებლო ცვლილება მოჰყვა.² სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებამ ხელი შეუწყო ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლას, რისი შედეგიც იყო, ამგვარი ხასიათის დანაშაულების ჩამდენ პირთა მიმართ, მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოქმედება.³ ასევე, გაძლიერდა ქალთა მიმართ და ოჯახში ჩადენილი დანაშაულების პრევენცია და გამკაცრდა პასუხისმგებლობა მოძალადეთა მიმართ.⁴ სამწუხაროდ, სახელმწიფოს ძალისხმევა აღნიშნული დანაშაულების პრევენციისათვის საკმარისი ვერ აღმოჩნდა.⁵ პრობლემა ამ შემთხვევაში საქართველოს მიერ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით ნაკისრი ვალდებულებებისა და რეკომენდაციების არაჯეროვან შესრულებაში, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში არასათანადო აღსრულებისა და საზოგადოების ცნობიერების ნაკლებობაშია. ასევე, პრობლემაა, შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის არასათანადო კოორდინაცია, რადგან ძალადობის პრევენცია მხოლოდ ერთი სახელმწიფო უწყების ძალისხმევით ვერ განხორციელდება.

საკითხის შესწავლისა და საკვლევი საკითხის ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა, აღწერით/მიმოხილვითი და ისტორიულ-სამართლებრივი კვლევის მეთოდები, ხოლო იურიდიული კვლევისა და შეფასების მეთოდმა, წარმოაჩინა ქალთა მიმართ

¹ <https://bit.ly/3hkler6> (30.06.2021)

² <https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2017/05/georgia-ratifies-the-istanbul-convention> (30.06.2021)

³ <https://bit.ly/3hkler6> (30.06.2021)

⁴ გოგა ხატიაშვილი, *საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე 2016-2018* (თბილისი:2019),7.

⁵ ჩემს მიერ 2020 წელს აკადემიური წერის სალექციო კურსის ფარგლებში დაწერილი სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომი, *ოჯახში ძალადობის პრევენციასთან მიმართებით თანამედროვე პრაქტიკაში არსებული პრობლემები*.

ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის პოლიტიკასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები, რამაც დაგვანახა პრაქტიკაში გასატარებელი ღონისძიებების აუცილებლობა.⁶

კვლევით დადგინდა, რომ მოქმედი კანონმდებლობა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ცვლილებები, ვერ უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთას. პრევენციის პოლიტიკის ეფექტური დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობა და განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში სათანადო აღსრულება.

საძიებო სიტყვები: ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ფემიციდი, დანაშაულის პრევენცია, მოძალადე, დაზარალებული, კოორდინირებული მუშაობა.

⁶ ჩემს მიერ 2020 წელს აკადემიური წერის სალექციო კურსის ფარგლებში დაწერილი სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომი, *ოჯახში ძალადობის პრევენციასთან მიმართებით თანამედროვე პრაქტიკაში არსებული პრობლემები*.

Abstract

The fight against violence against women and domestic violence remains a priority for the state of Georgia.⁷ The most important step in combating these crimes was the ratification of the Council of Europe Convention on „preventing and compacting violence against women and domestic violence” by the Parliament of Georgia on 5 April 2017, which resulted in numerous legislative changes.⁸ The ratification of the Istanbul Convention facilitated the fight against violence against women and domestic violence, which resulted in the implementation of a strict criminal policy against perpetrators of such crimes.⁹ It also strengthened the prevention of violence against women and domestic violence and tightened accountability for perpetrators.¹⁰ Despite strict state criminal policy and legislative changes by the state, preventive mechanisms for violence against women and domestic violence crimes have not been sufficient.¹¹ The problem in this case is the improper fulfillment of the obligations and recommendations undertaken by the state of Georgia under international legal acts, the improper execution of the legislative changes and the lack of public awareness. There is also a problem of inadequate coordination between relevant state agencies. And violence prevention cannot be achieved through the efforts of one state agency alone.

Descriptive / review and historical-legal research methods were used to analyze the case study, while the legal research and evaluation method identified the shortcomings of the violence against women and domestic violence prevention policy, which showed the need for practical measures.¹²

⁷ <https://bit.ly/3hkler6> (30.06.2021)

⁸ <https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2017/05/georgia-ratifies-the-istanbul-convention> (30.06.2021)

⁹ <https://bit.ly/3hkler6> (30.06.2021)

¹⁰ გოგა ხატიაშვილი, *საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე 2016-2018* (თბილისი:2019),7.

¹¹ ჩემს მიერ 2020 წელს აკადემიური წერის სალექციო კურსის ფარგლებში დაწერილი სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომი, *ოჯახში ძალადობის პრევენციასთან მიმართებით თანამედროვე პრაქტიკაში არსებული პრობლემები*.

¹² ჩემს მიერ 2020 წელს აკადემიური წერის სალექციო კურსის ფარგლებში დაწერილი სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომი, *ოჯახში ძალადობის პრევენციასთან მიმართებით თანამედროვე პრაქტიკაში არსებული პრობლემები*.

The study found that the current legislation and changes made by the state, can not ensure the prevention of violence against women and domestic violence. Coordinated work between government agencies, cooperation between NGOs and government agencies, and proper enforcement of implemented legislative changes are important for effective prevention policy planning.

Keywords: Domestic violence, violence against women, femicide, crime prevention, abuse, victimization, and coordinated policy are key terms.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს ბატონ გოგა ხატიაშვილს, რომელიც კვლევით ნაშრომზე მუშაობის პროცესში, მაძლევდა მნიშვნელოვან რჩევებს, მითითებებს და მაწვდიდა ინფორმაციას.